

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2022 წლის „ სექტემბერი, ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო მოძრავი ობიექტების ნუსხას (დანართი 3) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 და მე-12 პუნქტები:

№	მოძრავი ობიექტის დასახელება	მაიდენტიფიცირებელი/ზახასიათებელი ნიშანი	ექსპლუატაციის ვადა	ზომის ერთეული	რაოდენობა
9	ბუნებრივი გრანიტის ქვაფენილი	მეორადი	—	კვმ	1 (80 ცალი)
10	სატრანსპორტო საშუალება კვადროციკლი (მარკა - POLARIS, მოდელი - RANGER 500)	სარეგისტრაციო ნომერი: AB3873, საიდენტიფიკაციო ნომერი: 4XAWH50A3DE219768	გამოშვების წელი 2013	ცალი	1
11	სატრანსპორტო საშუალება ავტომანქანა (მარკა- TOYOTA, მოდელი - COROLLA LE)	სარეგისტრაციო ნომერი: DV815DV, საიდენტიფიკაციო ნომერი: JTNBM58E80J004099	გამოშვების წელი 2008	ცალი	1
12	სატრანსპორტო საშუალება ავტომანქანა (მარკა- BMW, მოდელი 520 I)	სარეგისტრაციო ნომერი: NBE860, საიდენტიფიკაციო ნომერი: WBAHB51030GH18478	გამოშვების წელი 1995	ცალი	1

ბ) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მოძრავი ქონების პრივატიზების გეგმას (დანართი 4) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 და მე-12 პუნქტები:

№	მოძრავი ობიექტის დასახელება	მაიდენტიფიცირებელი /ზახასიათებელი ნიშანი	ექსპლუატაციის ვადა	ზომის ერთეული	რაოდენობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/პირობითი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის საფარული პერიოდი ან/და პერიოდულობა
9	ბუნებრივი გრანიტის ქვაფენილი	მეორადი	—	კვმ	1 (80 ცალი)	40	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალედარულ დღეში
10	სატრანსპორტო საშუალება კვადროციკლი (მარკა - POLARIS, მოდელი - RANGER 500)	სარეგისტრაციო ნომერი: AB3873, საიდენტიფიკაციო ნომერი: 4XAWH50A3DE219768	გამოშვების წელი 2013	ცალი	1	5500	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალედარულ დღეში
11	სატრანსპორტო საშუალება ავტომანქანა (მარკა- TOYOTA, მოდელი - COROLLA LE)	სარეგისტრაციო ნომერი: DV815DV, საიდენტიფიკაციო ნომერი: JTNBM58E80J004099	გამოშვების წელი 2008	ცალი	1	4500	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალედარულ დღეში
12	სატრანსპორტო საშუალება ავტომანქანა (მარკა- BMW, მოდელი 520 I)	სარეგისტრაციო ნომერი: NBE860, საიდენტიფიკაციო ნომერი: WBAHB51030GH18478	გამოშვების წელი 1995	ცალი	1	1500	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალედარულ დღეში

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გ ა მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მომძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე